# მემორანდუმი

## დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ „საქართველოს ახალგაზრდულ მედიაკავშირს“ შორის

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი და მეორეს მხრივ არასამეწარმეო/არაკომერციული/იურიდიული პირი ,,საქართველოს ახალგაზრდული მედიაკავშირის“ დირექტორი ხათუნა გავაშელი (შემდგომში მხარეებად წოდებული), ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის პრინციპით, მხარეების ურთიერთთანამშრომლობისა და საერთო ინტერესების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.**მხარეთა თანამშრომლობის მიზანი**

1.1 მხარეთა თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ სტატუსის მქონე ქალებისა და მამაკაცებისთვის, სამშვიდობო მისიებში დაჭრილ ჯარისკაცთა, ომის ვეტერანთა და ონკოსაზოგადოების წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობისა და გაეროს 2006 წლის კონვენციის 30-ე მუხლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

1.2 პროექტის ღირებულება დმანისელი ბენეფიციარებისთვის შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

**2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**2.1** გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ,,საქართველოს ახალგაზრდული მედიაკავშირს“ მიზნობრივი დანიშნულებით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის 2026 წლის 25 ნოემბრამდე გადაურიცხავს 10 000 (ათი ათასი) ლარს, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

**2.2** თავის მხრივ ორგანიზაცია ,,საქართველოს ახალგაზრდული მედია-კავშირი“ იღებს პასუხისმგებლობას, დაგეგმილ აქტივობებში 2026 წლის 15 იანვრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 25 შშმ სტატუსის მქონე პირის- ქალის და კაცის, ასევე, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების, ომის ვეტერანებისა და ონკოსაზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობა სპორტულ-

კულტურულ აქტივობებში, პროფესიონალი ინსტრუქტორებისა და პერსონალური ასისტენტების დახმარებით, სპეციალური კონსტრუქციებისა და საჭირო ინვენტარის გამოყენებით. მოახდინოს აქტივობებში ჩართულობისათვის საჭირო ყველა ტექნიკური რესურსის მობილიზება, უზრუნველყოს მონაწილეთათვის ბრენდირებული მაისურების მიწოდება, მოახდინოს აქტივობების ფოტო და ვიდეო გადაღება, შექმნას მუნიციპალიტეტისთვის ინდივიდუალური ფოტოარქივი და ვიდეორგოლები.
ჩართულობა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

| აქტივობა | განხოციელების ადგილი | განხორციელების დრო | ბენეფიციარი | მერიის დაფინანსება | ჯამი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ომის გმირის თემურ სახოკიას სახელობის ბოულინგის ჩემპიონატი | თბილისი | მარტი | 10 | 1770 | 1770 | |
| ჯომარდობა, მშვილდოსნობა, | ბორჯომი | ივნისი | 6 | 2380 | 2380 | |
| პარალიმპიური სპორტის სახეობა ბოჩა, ნარდისა და დომინოს ტურნირები, მკლავჭიდის ჩემპიონატი მჯდომარე და მდგომარე პოზიციებში, მჯდომარე ფრენბურთის ჩემპიონატი, პეინტბოლის ტურნირი, მშვილდოსნობა, კულინარიული დუელი | ურეკი | ივლისი 6 ღამე 7 დღე | 4 | 4285 | 3220 | |
| ბოულინგის ჩემპიონატი მინიგოლფის ტურნირი | კაჭრეთი | სექტემბერი | 5 | 2630 | 2630 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიზანში სროლის შეჯიბრება ჯირითი | | | | | | |
| ჯამი | | | | | 10 000 | |

## 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის 2026 წლის 10 იანვრიდან და ძალაშია 2026 წლის 30 დეკემბრამდე.

3.2 მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

- მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა
- მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან
- შეწყვეტის ინიციატორი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარ 1 /ერთი/ კვირით ადრე მიწოდებული შეტყობინება;
- მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

## 4. დავების გადაწყვეტა

4.1. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს უპირატესად ურთიერთმოლაპარაკების გზით;

4.2. თუ მხარეები ურთიერთმოლაპარაკებით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეული მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ სადავო საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და სასამართლო განხილვის წესით მოახდინოს სადავო საკითხის გადაწყვეტა.

## 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.2. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემორანდუმის დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

5.3 მემორანდუმი გამოხატავს მონაწილე მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ ელექტრონული ხელმოწერით.

**ხელმომწერ მხარეთა რეკვიზიტები:**

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერი**
**/კობა მურადაშვილი/**

---

**მისამართი: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა N41**
**მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ქ.თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“**
**ბ/კოდი : TRESGE22**
**ს/კოდი : 228928391**

DMANISI MUNICIPALITY

Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY
Date: 2025.11.11 12:14:35 +04'00'

**„საქართველოს ახალგაზრდული მედიაკავშირის“**
**დირექტორი**
**/ხათუნა გავაშელი/**

---

**მის: ქ. თბილისი, კედიას ქუჩა №7**
**ს/კოდი: 405663385**
**სს საქართველოს ბანკი**
**ბ/კოდი: BAGAGE22**
**ა/ნ GE24BG0000000584374259**